პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 29 ივლისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

168 (866) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილებების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## კიდევ პარტიული ცხოვრების გაშუქების შესახებ.

არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე პარტიული ცხოვრების გაშუქების შესახებ. ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ნაწილებში წარმოებული პარტიული მუშაობა ნაკლებად შუქდება გაზ. „წითელ არმიელში“ და თუ შუქდება ისიც მეტის მეტად უშინაარსოთ, მშრალად და ზერელეთ. არ იქმნა და არ მოხერხდა ამ მხრივ დღემდი მდგომარეობის გამოსწორება.

ჩვენი სამხკორები ისევ ძველებურად ძუნწად გვაწვდიან კორესპონდენციას, უფრო სწორად რომ ვსთქვათ მოკლე ცნობას, პარტიული ცხოვრების შესახებ.

თემა ამ ცნობებისა უმეტეს შემთხვევაში არის კომუჯრედის კრებები. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება თითქოს პარტიული მუშაობა ნაწილებში მხოლოდ კრებების მოწყობაში გამოიხატებოდეს.

სამწუხაროდ იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ამ კრებების გაშუქება მეტად უფერულ ფორმებში ხდება.

ჩვეულებრივად სამხკორი მოგვითხრობს თავის კორესპონდენციაში, რომ იყო კრება, აირჩიეს თავმჯდომარე, საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა ამა და ამ ამხანაგმა და შემდეგ კრება დაიხურა.

აი ესა და ეს არის მხოლოდ პარტიულ მუშაობის შესახებ მოსულ კორესპონდენციების შინაარსი. არც მეტი არც ნაკლები.

ასეთი საკითხები კი, როგორც პარტიის ზრდა მისი ყოველდღიური მუშაობა, მისი გავლენის ზრდა წითელ-არმიელთა მასებში, ახკომკავშირელთა ორგანიზაციების მდგომარეობა, ნაწილის პარტორგანიზაციის მიღწევები, ნაკლი, მისი მომავალი გეგმები—ერთი სიტყვით ყოველივე ის, რაც შეადგენს პარტიის ნამდვილ ცხოვრებას ნაწილში გაუშუქებელი რჩება, მას თითქოს ვერ ამჩნევს ჩვენი სამხკორი. ის მთელ კორესპონდენციას ანდომებს იმას, თუ რა ილაპარაკა ამა და ამ ამხანაგმა საერთაშორისო მომენტზე, ხოლო გაკვრით ეხება იმას, თუ როგორ შეხვდა ახალი წევრის შემოსვლას პარტიაში კომუჯრედი. მაშინ როდესაც მას მთავარი ყურადღება უნდა მიექცია ახალი წევრის მიღების ფაქტისათვის და ის გაეშუქებია დაწვრილებით.

მიზეზი ყოველივე ამისა არის ის, რომ ჩვენი სამხკორები სწერენ პარტიულ კორესპონდენციებს კაზიონურად, შაბლონურად, არ უკვირდებიან სინამდვილეს. ყოველივე ამას აქედანვე ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენი სამხკორები მოვალენი არიან სწერონ არა მარტო პარტიულ კრებაზე, არამედ ყოველივე ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ნაბიჯზე, მიღწევაზე, რომელსაც ადგილი ქონდა ნაწილის პარტორგანიზაციაში.

პარტიული ცხოვრება და მუშაობა გაშუქებულ უნდა იქმნას ყოველმხრივ და შინაარსიანად. აი გადაუდებელი ამოცანა, რომელიც დროა ღირსეულად გაატარონ ცხოვრებაში ჩვენმა სამხკორებმა.

## ინგლისის მრეწველობის კრიზისი და მუშათა მოძრაობა.

„პრავდას“ წერილი.

კრიზისი ინგლისის მრეწველობაში დღითი დღე მწვავდება.

ინგლისის საქონელი ვერ პოულობს საჭირო ბაზარს. ეს გარემოება იწვევს წარმოების შეჩერებას, უმუშევრობის ზრდას და აუარება ზარალს აყენებს კაპიტალისტებს. ეს უკანასკნელები კი, რომ შეიმსუბუქონ კრიზისი და თავიდან აიცილონ ზარალი აპირებენ სამუშაო ხელფასის შემცირებას და სამუშაო დღის გადიდებას. მუშების გაყვლეფის გადიდების გზით მათ სურთ კრიზისიდან გამოსვლა.

მაგრამ ინგლისის პროლეტარიატი მედგრად არის. ის მტკიცედ სდგას თავის პოზიციებზე და იცავს თავისუფლებებს.

ეხება რა ამ სამრეწველო კრიზისს ინგლისში და ამ ნიადაგზე კაპიტალისტებსა და მუშებს შორის არსებულ ბრძოლას გაზეთი „პრავდა“ „სწერს შემდეგს:

„ინგლისის უმნიშვნელოვანესს სამეურნეო ორგანიზაციების უკანასკნელი ანგარიშები აღნიშნავენ მრეწველობის მდგომარეობის დიდათ გაუარესებას. ქვანახშირი, რკინა, ფოლადი, თუჯი, საქსოვი, რკინის-გზები—წარმოების ყველა ეს უმთავრესი დარგი-იმყოფება ძლიერ ცუდ მდგომარეობაში, რაც პირველ ყოვლისა იწვევს უმუშევრობის მუდმივ ზრდას, რომელიც ინგლისის კაპიტალიზმის ქრონიკულ სენათ გარდაიქცა. საგარეო ვაჭრობა დღითი დღე ეცემა და სავაჭრო ბალანსი უფრო და უფრო პასიური ხდება, რასაც თავის მხრივ მიყავს ინგლისის სამეურეო მდგომარეობა შემდეგი გაუარესებისაკენ.

ინგლისის პროფკავშირთა წრეებში გაცხარებული ბჭობაა ამჟამად მსხვილ პროფორგანიზაციების ახალი კავშირის საკითხის შესახებ, რომელმაც უნდა შეაკავშიროს სამ მილიონზე მეტი მუშა. მუშებს უნდათ შექმნან გარანტია მწარმოებელთა წინაამდეგ: მაშინ როს მუშები გაიფიცენ, რკინის გზელებს აღარ გადააქვთ ქვანახშირის არსებული მარაგი და სხვა. ასეთია მუშების გეგმა, რომლებიც თავს იცავენ კაპიტალის თავდასხმებისაგან.

ბრმა უნდა იყო, რომ ასეთ პირობებში აწარმოო ისეთი პოლიტიკა, რომელსაც ატარებს ჩემბერლენი ინგლისის მილიტარისტების გავლენის ქვეშ.

ინგლისის პროლეტარიატი ემზადება პასუხის გასაცემად. ის მიაღწევს თავის მიმდინარე მიზნებს, თუ ნამდვილად შეკავშირებული, ორგანიზაციულად დარაზმული იქნება და მის რიგებში არავითარ განხეთქილებას ადგილი არ ექნება“.

# ახალი რადიო-ამბები

## საბჭოთა კავშირში.

### გერმანიის დელეგაციები გაემგზავრა სსრკ-ს სხვადასხვა კუთხეებში.

**დელეგატები მოდიან ტფილისში.**

25 ივლისს მოსკოვიდან ტფილისში გამოემგზავრა გერმანიის მუშათა დელეგაციის ერთი ჯგუფი. დელეგატები 3 კვირის შემდეგ კვლავ დაბრუნდებიან მოსკოვში, საიდანაც გაემგზავრებიან გერმანიაში.

ამ ჯგუფის გზა—ხარკოვი, დონის როსტოვი, მინერალური წყლები—ტფილისი—ბათუმი, ბაქო, გროზნი.

დელეგაციის მეორე ჯგუფი გაემართა ურალის მხარეში, მესამე ჯგუფი—ყირიმში, მე-4 ჯგუფი გაემგზავრა მოსკოვისა და ლენინგრადის გუბერნიების რამოდენიმე სოფლის დასათვალიერებლად.

**დელეგატები მოდიან ტფილისში.**

25 ივლისს მოსკოვიდან ტფილისში გამოემგზავრა გერმანიის მუშათა დელეგაციის ერთი ჯგუფი. დელეგატები სამი კვირის შემდეგ კვლავ დაბრუნდებიან მოსკოვში, საიდანაც გაემგზავრებიან გერმანიაში.

ამ ჯგუფის გზა—ხარკოვი, დონის როსტოვი, მინერალური წყლები—ტფილისი, ბათუმი, ბაქო, გროზნი.

დელეგაციის მეორე ჯგუფი გაემართება ურალის მხარეში, მესამე ჯგუფი—ყირიმში, მეოთხე—ჯგუფი გაემგზავრა მოსკოვსა და ლენინგრადის გუბერნიების რამოდენიმე სოფლის დასათვალიერებლად.

### საუბარი ფრეიბერგერთან.

**„მოსკოვიდან მიდის სინათლისა და კლასობრივი შეგნების სხივები ყველა ქვეყნებში“.**

გერმანიის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარემ ფრეიბერგერმა როსტას თამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„გერმანიაში ჩვენ გვეუბნებოდენ, რომ რუსეთის ბოლშევიკების საალმშენებლო ცდებმა დამარცხება განიცადეს. მაგრამ გერმანიის მუშებმა კლასობრივი ალღოთი იგრძნეს, რომ ეს არ იყო მართალი. ჩვენ გაკვირვებაში მოგვიყვანა ყველაფერმა, რაც კი ვნახეთ. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ომის მიერ გამოწვეული ნგრევის კვალიც აღარ არსებობს, ბურჟუაზიის ტყუილი გაიფანტა. ჩვენ ვნახეთ წითელი არმია, მუშები და გლეხები, რომლებმაც იციან, თუ რისთვის იბრძვიან.

წითელი მოსკოვი მთელი ქვეყნების პროლეტარიატის დედაქალაქია. აქედან მიდის სინათლისა და კლასობრივ შეგნების სხივები ყველა ქვეყნებში, ყველა მშრომელებისაკენ“.

### გერმანიის დელეგატები მოითხოვენ ოფიციალური დელეგაციის გამოგზავნას საბჭოთა კავშირში.

გერმანიის დელეგაციას თათბირი ჰქონდა მოსკოვში; თათბირმა გადასწყვიტა მიმართოს გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების კონგრესს,-რომელიც მოწვეულ იქნება ბრესლავლში 12 აგვისტოს,-მოთხოვნილებით გამოგზავნონ საბჭოთა კავშირში გერმანიის პროფკავშირთა ოფიციალური დელეგაცია ქვეყნის მდგომარეობის გასაცნობად და გერმანიისა და საბჭოთა კავშირის პროფკავშირებს შორის მტკიცე კავშირის დასამყარებლად. გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

### საყოველთაო გაფიცვების საკითხი ინგლისში.

ინგლისის სამთო-მადნო მუშების წარმომადგენლებმა პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს სთხოვეს საყოველთაო გაფიცვების მოწყობა. პასუხი ჯერ არ არის გამოცხადებული, მაგრამ, როგორც ზოგიერთ წევრებმა განაცხადეს, საბჭო თანახმაა თანდათანობითი გაფიცვებზე.

კომპარტია მიუთითებს მთავარ საბჭოს მოაწყოს საყოველთაო გაფიცვები.

### მუშათა სოლიდარობა.

მტვირთავ მუშათა კავშირმა დაადგინა, თუ შეწყვეტილ იქნება მუშაობა ქვანახშირის სამრეწველოებში, მიიღონ ზომები ნახშირის გადატანის წინაამდეგ რკინის გზითა და გზატკეცილით.

### საფრანგეთის მდგომარეობა მაროკოში სერიოზულია.

**კაბილებმა აიღეს 61 გამაგრებული წერტი.**

გაზ. „ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ აქვეყნებს ცნობებს, რომლებიც აღნიშნავენ საფრანგეთის სერიოზულ მდგომარეობას მაროკოში.

კაბილებმა აიღეს 61 გამაგრებული წერტი და სერიოზულად უქადიან ფრანგების დანარჩენ პოზიციებს. ამ დღეებში აბდ-ელ-ქერიმის მხარეზე გადავიდა ტსულის ტომები და შესძინეს მას 13.000 მეომარი.

რიფები ხშირად ესხმიან თავს ღამით საფრანგეთის ჯარებს.

საფრანგეთს ამჟამად მაროკოში ჰყავს 200.000 ჯარის კაცი, მაგრამ ესენი ისეა მობნეული, რომ მათი შეტევითი ძალა ვერაა დიდი.

### მფრინავი რაზმები წინ მიიწევენ.

ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ მფრინავმა რაზმებმა დაახევიეს აჯანყებულებს პროვინცია ფეციდან ჩრდილოეთისაკენ.

აღმოსავლეთ რაიონში მფრინავი რაზმები სწმენდენ გზას ბარმარუჯუს მიმართულებით.

### კომუნისტების მანიფესტაციები პარიზში.

საფრანგეთში მიდის კომუნისტების მანიფესტაციები პოლიციის სასტიკ კანტროლს ქვეშ.

კვირას პარიზის მიდამოებში გაიმართა მანიფესტაცია, რომელსაც თვალყურს ადევნებდა პოლიციის გაძლიერებული რაზმები. პოლიციამ ბევრი მანიფესტანტი შეიპყრო. მიუხედავად პოლიციის დევნისა, მანიფესტაციის დროს კომუნისტ დორიომ წარმოსთქვა სიტყვა მაროკოს ომის წინაამდეგ.

# მშრომელი ხალხის გამცემლები პროლეტარული სამსჯავროს წინაშე.

**22 ივლისის სხდომის გაგრძელება.**

„— იქ რომ მივედი,—ამბობს ნაკაშიძე,—მე გამაცნო მან (ცაგურიამ) საერთო გეგმა ვაზიანის ოპერაციის შესახებ. თანაც დაუმატა, რომ საგარეჯოში დამხვდება 50 კაცი. ამ რაზმით მე უნდა მივშველებოდი ვაზიანს. როდესაც მივედი იმ კაცთან, რომელსაც ჩემთვის 50 კაცი უნდა მოეცა, მან მე მითხრა:

„— მე მყავს 15 შეიარაღებული კაციო“. მე ასეთი რაზმით დაკისრებულ ოპერაციის შესრულება გამიძნელდებოდა და ეს შევატყობინე ცაგურიას.

**ბრალდებული ბერიძე.**

34 წლის. ინტელიგენტი, უპარტიო, ყოფილი ოფიცერი.

—მე—ამბობს ის—წინადადება მივიღე შალვა ამირეჯიბისაგან წავსულიყავი ჩრდილო კავკასიაში აგვისტოს პირველ რიცხვებში. მე უარი განვაცხადე, რადგანაც ადესაში ვაპირებდი წასვლას.

რამოდენიმე დღეში მომივიდა ცნობა მამის სიკვდილის შესახებ და წაველი შვებულებაში. 11 აგვისტოს დავბრუნდი და მინდოდა რუსეთში წასვლა. მოვიდა კაცი და მითხრა, ამირეჯიბის ნახვა შეგიძლია თუ არაო. მე წაველი მასთან. მან მკითხა: „შეგიძლია თუ არა ჩრდილო კავკასიაში წახვიდეო?„ მეორე თუ მესამე დღეს გავემგზავრე.

გზაში ჩვენ გადაგვიყვანეს, გაგვჩხრიკეს და გაგვათავისუფლეს. კავკავში ჩვენ გავიგეთ, რომ ის პირები და მთელი ორგანიზაცია, რომელიც ჩვენ გვინდოდა დაგვეპატიმრებიათ. ჩვენ დავბრუნდით ტფილისში.

**ბრალდებული ავალიშვილი**

48 წლის, უპარტიო, ყოფილი ოფიცერი.

—მე ვიცოდი—ამბობს ბრალდებული—რომ 1924 წელში სამხედრო კომისიას კავშირი ჰქონდა ჩრდილო კავკასიასთან ის თითქმის იმასვე იმეორებს. რაც ბრალდებულმა ბერიძემ განაცხადა.

სახელმწიფო ბრალმდებელი მოაგონებს ავალიშვილის წინასწარ გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებას, სადაც ის აცხადებს:

„—გამომშვიდობებისას კოტე ანდრონიკაშვილმა მითხრა (ლაპარაკია კავკავში წასვლაზე) ყოველ შემთხვევაში დაარწმუნეთ ალი-მითაევი, რომ დასავლეთ ევროპის განწყობილება ჩვენ მხარეზეაო“.

ბრალდებული ავალიშვილი სცდილობს უარყოს ეს ჩვენება, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს იძულებულია აღიაროს, რომ მან ასეთი ჩვენება მართლაც მისცა.

ამით გათავდა 22 ივლისის დილის სხდომა.

**22 ივლისის საღამოს სხდომა.**

## გრძელდება ბრალდებულთა დაკითხვა.

**ბრალდებული იშხნელი.**

(38 წლის. ყოფილი აზნაური. ექიმი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი).

—მე შევედი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არა-ლეგალურ ცეკაში. გამგზავნეს ჩრდილოეთ-კავკასიაში, რომ გამეგო იყო თუ არა მართლაც იქ ის ძალები, რომელთა შესახებ ჩვენ გვაცნობეს. როცა იქ მივედი, დავრწმუნდი, რომ ცნობები ძალების შესახებ გაზვიადებული იყო. მასთან გამოვარკვიე ისიც, რომ ჩრდილოეთ კავკასია გამოსვლებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. დავბრუნდი და ამის შესახებ მოხსენება გავაკეთე პარიტეტულ კომიტეტში და ჩვენს ცეკაში. ჩვენს ცეკასთან არსებობდა სამხედრო კომისია. ჩვენგან პარიტეტში შედიოდა ჯავახიშვილი. ჩვენის მხრივ ჩოლოყაშვილის ბანდასთან კავშირი ჰქონდა ზალდასტანიშვილს და წინამძღვარიშვილს. ამ ბანდას წინად არ ჰქონდა უშუალო კავშირი პარიტეტულ კომიტეტთან, ბოლოს კი ჩოლოყაშვილი კომიტეტის განკარგულებაში იყო. ჩვენი სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე იყო დავით ვაჩნაძე. შემდეგ ის გამორიცხულ იქნა ცეკადან, ვინაიდან 1921 წლის სექტემბრის გამოსვლები მისი მოწყობილი იყო.

ბრალმდებლის შეკითხვაზე, როგორ ფიქრობს ბრალდებული, ამ გამოსვლებმა სარგებლობა მოუტანა ხალხსა და პარტიას, თუ ზიანი, იშხნელი უპასუხებს: „ეს უსათუოდ დიდი დანაშაული არის და ამიტომ ვაჩნაძე პარტიიდან გავაძევეთ“.

**ბრალდებული იასონ ჯავახიშვილი.**

(37 წლის, ყოფილი აზნაური, პარიტეტული კომიტეტის წევრი დღიდან დაარსებისა)

—ერთად ერთი საკითხი, რომლის გარშემო ტრიალებდა დამოუკიდებელი კომიტეტის მთელი მუშაობა, საქართველოს დამოუკიდებლობა იყო. ამ კომიტეტში არც ერთ პარტიას არავითარი უპირატესობა არ ქონია. 1923 წლის ზაფხულზე ჩვენ პრაქტიკულად შევუდგით აჯანყების მოწყობას. ავირჩიეთ სამხედრო კომისია, რომელშიაც შედიოდა ხომერიკი და წინამძღვარიშვილი. პარიტეტული კომიტეტი ზომებს ღებულობდა ჩაეთრია გამოსვლებში მეზობელი ერები, მაგრამ სომხეთმა უარი სთქვა, აზერბაიჯანთან კავშირი გაწყდა და ჩრდილოეთ-კავკასიას არავითარი ძალის გამოყვანა არ შეეძლო.

# სამხედრო საქმე

**ხმაურობის შენიღბვა.**

ყოველგვარ საბრძოლო გარემოებაში—ძიების, ლაშქრული წესით მოძრაობის, დასვენებისა და ბრძოლის დროს—ჯარებმა უნდა მიიღონ შენიღბვის ზომები, რომ ერთის მხრივ დაჰფარონ თავის მოქმედება, და მეორეს მხრივ უჩვენონ მტერს ის, რაც სინამდვილეში არ არის, ე. ი. მოატყუილონ ის. ერთ ალაგას თავისი მოქმედების დაფარვით და მეორე ალაგას ყალბი მოქმედების ჩვენებით, ჩვენ ისეთ უპირატესობას ვიგდებთ ხელში, რომ ნაკლები ზარალი გვადგება მტრის ცეცხლისაგან, და რაც უმთავრესია, საშუალება გვეძლევა მოულოდნელი ზარალი მივაყენოთ მტერს იქ, სადაც ის ყველაზე ნაკლებ მოგველის. მოულოდნელობა მთავარი საშუალებაა გამარჯვებისათვის.

მაგრამ არ კმარა მხოლოდ დაჰფარო თავი და თავისი მოქმედება მტრის თვალისაგან.

ჩვენ შეგვიძლია ვიმოძრაოდ მტრისთვის სრულიად შეუმჩნევლად, კარგად შევეხამოდ ადგილ-მდებარეობას, მოვიშველიოდ კვამლის ფარდები და ბოლოს-ვიმოძრაოდ ღამით. მაგრამ ფეხის ხმას, იარაღების, ქვემეხების და საბარგულეების ხმაურს, განკარგულებებსა და ხმა მაღალ ლაპარაკს—ყოველივე ამას შეუძლია გაგვამჟღავნოს მტერთან, რომელსაც ამ ხმაურობის მიხედვით შეუძლია გაიგოს არა მარტო ის, თუ საით და რა მიმართულებით ვმოძრაობთ ჩვენ, არამედ ჩვენი ჯარების დაახლოებით რაოდენობაც. მაშასადამე, ჩვენ უნდა დავფაროდ ყოველი ჩვენი ნაბიჯი არა მარტო მტრის თვალის, არამედ მისი ყურისგანაც. ასეთი ზომების მიღებას, რომლებიც დაჰფარავს მტრისგან ჩვენს ხმაურობას, ეწოდება „ხმაურობის შენიღბვა“.

რომ ნათელვყოთ ამ ხასიათის შენიღბვის დიდი მნიშვნელობა, მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რა მანძილზე ისმის ხმები.

ფეხის ხმა გზაზე (განსაკუთრებით მოკენჭილ, ან მაგარ გზატკეცილზე) ისმის 300—400 ნაბიჯზე; ფეხის ხმა მოხნულ, რბილ ნიადაგზე ან ბალახზე ისმის მხოლოდ 70—100 ნაბიჯზე. განსაკუთრებით ისმის ფეხის ხმა ზამთარში მოტკეპნილ მიწაზე; ხშირად ფეხის ხმა და რახუნი ისმის 1.000 ნაბიჯამდის.

ჩვეულებრივი ხმა მიდის 1.000—1200 ნაბიჯამდი, ხოლო ხმამაღალი განკარგულება—გაცილებით უფრო შორს.

საკეტის ფრთხილად გამოღება ძლივს ისმის 50 ნაბიჯზე, მაგრამ გამოღება—1.000 ნაბიჯამდი.

ყველაფერი ეს გვეუბნება, რომ მტერთან დაახლოებისას 2.000—1500 ნაბიჯზე „ხმაურობის შენიღბვა“ სასტიკად უნდა იქნას დაცული.

არავითარი განკარგულება (ხმა მაღალი), არავითარი ლაპარაკი არ უნდა იყოს, ფეხშეწყობ არ უნდა იარო, უმჯობესია რბილ ბალახზე სიარული (და არა გზაზე). საჭურველი ისე უნდა იყოს მოსადაგებული, რომ არ ხმაურობდეს ქვაბი, ან წყლის სასმელი თუნუქი; ცხენის ნალები შეხვეულ უნდა იქნას ჩვარით, ტილოთი; საბარგულეები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ რახუნი არ უნდა ისმოდეს.

ხანდახან საჭიროა ყალბი ხმების წარმოშობა. მაგალითად ჩვენ ვამზადებთ იერიშს რომელიმე უბანში, აქ ჩვენ განსაკუთრებული სიფრთხილით ვფარავთ მზადებას; სამაგიეროდ მეორე უბანში ვქმნით ყალბ იერიშს „ვაშას“ ძახილით, ფეხის ყალბი ხმაურით და სხვა. მაგ. რუსეთ-იაპონიის ომის დროს იაპონელებმა ერთხელ ღამით მთელი კომედია შეასრულეს: ისინი, ზურგზე წამოწოლილები, სცემდენ ფეხებს მიწაზე, გაიძახოდენ „ბანზაის“ (ვაშა), სტვენდენ და ისროდენ ალმა. რუსებმა იფიქრეს, ეს მართლაც იერიშია, ამოხტენ სანგრებიდან და მოექცენ იაპონელების ცეცხლ ქვეშ.

ამრიგად, შენიღბვის ზომების მიღების დროს საჭიროა არა მარტო მტრის თვალზე მოფარება, არამედ შექმნილ უნდა იქნა ისეთი გარემოება, რომ ხმაურობა არ ისმოდეს.

პ.

# უფშემადგენლობის პოლიტმომზადების შესახებ.

„უფშემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი აქტიურად მონაწილეობს იმ პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობაში, რომელიც ტარდება წითელ არმიაში. უფშემადგენლობის სავსებით ჩაბმა ამ მუშაობაში შეიძლება მხოლოდ მის პოლიტიკურ ცოდნის და საერთო—საგანმანათლებლო მომზადების მუდმივად ამაღლების საფუძველზე“.

რესპუბლ. რევსაბჭოს ბრძ. № 1515-დან.

ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უფშემადგენლობისათვის პოლიტიკურ მომზადებას. უფშემადგენლობის მიერ პოლიტსაათის ჩატარება ჯგუფობრივ მეთოდის შემოღების შემდეგ, ნაწილის სკოლის გარეშე მუშაობაში მონაწილეობის მიღების აუცილებლობა და საერთოდ წითელ არმიელთა მასის აღზრდის საქმე, ყოველივე ეს მოითხოვს უფშემადგენლობისაგან მზადებას პოლიტიკურად და საერთო ცოდნის განვითარებას.

ტერიტორიალ შენებლობის პირობებში უფშემადგენლობას, პოლიტიკური მომზადების მხრივ მეტი მოეთხოვება ვიდრე სხვას, ვინაიდან ტერუფშემადგენლობას უხდება მუშაობა არა მარტო თავის ნაწილში, არამედ მოსახლეობაშიაც, უმთავრესად სოფელში.

ის საშუალებანი, რომელსაც მიმართავდნენ წარსულში უფშემადგენლობის პოლიტ-ცოდნის ამაღლების მიზნით, როგორიც იყო ყოველგვარი პოლიტსკოლები, კურსები და სხვა ვერ მიაღწიეს თავის მიზანს, რაც შემდეგში აღმოჩნდა უფშემადგენლობის პოლიტ-ცოდნის შემოწმების დროს.

**ბრძანება № 1515.**

მტკიცე ნიადაგზე დადგა უფშემადგენლობის პოლიტ მომზადების საქმე გ. წ. დეკემბერში რევსაბჭოს მიერ ბრძანება № 1515 გამოსვლის შემდეგ. აღსანიშნავია ის, რომ ეს ბრძანება ეხება არა მარტო უფშემადგენლობას, არამედ ადმინისტრატიულ სამეურნეო და ვეტერინარულ შემადგენლობასაც. ამ უკანასკნელ ხანებში დამატებით იყო გაცემული განმარტება, რომ აღნიშნული ბრძანება ეხება აგრეთვე ექიმების თანაშემწეებსაც.

მიუხედავათ იმისა, რომ ექვს თვეზე მეტია ბრძანების გამოსვლისა, ცოტა რამ გაკეთებულა ნაწილებში უფშემადგენლობის პოლიტმომზადების საქმეში. არის ნაწილები სადაც ეს მუშაობა სრულიად არ დაწყებულა სხვა და სხვა მიზეზის გამო.

ერთ-ერთ ასეთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს უფშემადგენლობის ზედმეტი დატვირთვა, არა ხელშესაწყობი პირობები თვით განვითარების მუშაობისათვის და აქედან დღიდან დღეზე გადატანა პოლიტმომზადების საქმისა იმ პირობით, რომ პოლიტგამოცდების წინ, რამოდენიმე კვირის განმავლობაში შეიძლება სასწრაფოთ შესწავლა იმ სავალდებულო საგნებისა, რომელიც არის აღნიშნული № 1515 ბრძანებაში.

თუ რამდენად ასეთი „სისტემა“ შეცდომას წარმოადგენს და ვერ მისცემს სასურველს შედეგებს სჩანს თვით პოლიტმომზადების სავალდებულო პროგრამის სიდიდიდან, რომელიც გათვალისწინებულია გასავლელად საშუალო უფშემადგენლობისათვის სამი წლის განმავლობაში და შეიცავს არა მარტო საზოგადოებრივი ცოდნის საგნებს, არამედ გეოგრაფიასაც, ბუნების მეტყველებას და სხვა. აღნიშნულ დროს განმავლობაში ამ პროგრამის თანახმად ყოველ უფშემადგენლობის პირს (უფპოლიტშემადგენლობის ქვეშ მე მუდამ ვგულისხმობ, როგორც იყო ზემოდ ნათქვამი დანარჩენებსაც, პოლიტშემადგენლობის და წითელ-არმიელების გარდა) ევალება თვით მომზადების წესით პოლიტ და საერთო-საგანმანათლებლო საგნების ამ კურსის შეთვისება, რომელსაც გადიან სამხედრო ნორმალურ სკოლებში. ამ ბრძანების შემდეგ მთელი პასუხისმგებლობა უფპოლიტშემადგენლობის პოლიტ. მომზადებისა აწევა არა ვისმე სხვას, არამედ პირადათ უფშემადგენლობის თვითეულ პირს. ამისათვის პერიოდიულად მოხდება უფშემადგენლობის მიერ ამ პროგრამის შეთვისების შემოწმება პირველი გასინჯვა პოლიტცოდნისა უნდა მოხდეს 1926 წელს, მარტში.

ჩვენ სამხედრო სკოლიდან გამოშვებული მეთაურები ნორმალისტებმა შეიძლება გამოსთქვამენ ის აზრს, რომ მათთვის არ არის სავალდებულო პოლიტმომზადება, ვინაიდან მათ დამთავრებული აქვთ პროგრამაში მოთავსებული კურსი სამხედრო სკოლაში.

მაგრამ ნათქვამია; „ვინც არ მიდის წინ, ის უკან რჩება“ და ეს არ უნდა დაივიწყოს ყოველმა მეთაურმა.

ამის გარდა საჭიროა სამხედრო სკოლაში მიღებულ ცოდნის განმეორება და გაღრმავება, რის განხორციელებისათვის პოლიტმომზადება და განვითარება საუკეთესო საშუალებათ უნდა ჩაითვალოს.

ყოველივე ეს გვიკარნახებს ჩვენ გამოვაცოცხლოთ პოლიტმომზადების საქმე იქ, სადაც ასეთი არის დაწყებული, და დაუყონებლივ მოვკიდოთ ამ საქმეს ხელი იქ სადაც ეს საკითხი არ განძრეულა უძრავ-წერტილიდან.

**ორგანიზაციული მხარე.**

უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს რიცხობრივი და ხარისხული აღრიცხვა მსურველ უფშემადგენლობის პირთა. აღრიცხვაზე აყვანილ პირთა პირველ საორგანიზაციო კრებაზე მიეცეს უნდა მათ ახსნა-განმარტება ბრძანება № 1515 შინაარსის შესახებ იმ ლიტერატურის აღნიშვნით, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამით. ბრძანება აძლევს უფშემადგენლობას თავისუფლებას პოლიტ მეცადინეობის მიზნით ამა თუ იმ სისტემის არჩევის საქმეში, მხოლოდ ვინაიდან საჭირო წიგნების მხრივ ჩვენ ვგრძნობთ ნაკლებულებას და ჯგუფობრივი მზადება საუკეთესო სისტემად უნდა ჩაითვალოს ასეთ პირობებში, პირველივე კრებაზე უნდა მიეცეს მათ ამის შესახებ განმარტება და თუ აღმოჩნდებიან მსურველები, მოხდეს მათი განაწილება ჯგუფებში, რომლის შემადგენლობა 4—5 კაცს არ უნდა აღემატოს. მსურველებს კი შეუძლიათ ინდივიდუალურად მოემზადონ.

(გაგრძელება იქნება).

**მესხეთელი.**

# არმიის მე-4 ოლიმპიადა.

შეჯიბრში 100 მეტრზე სირბილში პირველი ადგილი უკავია სერგეევს (ტფ. პ. სკ.); მის შემდეგ მიდის ევსტიფეევი და მასთან გუჩქევი (იმავე სკოლიდან).

ხტომაში მაღლა გარბენით ჩვენი სასპორტო ჯგუფები იძლევიან ატლეტიურ მიღწევებს: 1-ლი ადგილი უჭირავს კუზმინს (ტფ. პ. სკ.) მეორე ადგილი—სერგეევს (ტფ. პ. სკ.) მე-3 ადგილი გალკინს (ტერლეგიონი).

შეჯიბრმა ბადროს ტყორცნაში მოგვცა შემდეგი შედეგები:

1-ლი ადგილი დაიკავა სერგეევმა (ტფ. პ. სკ.) მე-2—ადამოვმა (ტფ. პ. სკ.) მე-3—გორინენკომ (კ. საპ. ლეგ.) მე-4—ცხვედაძემ და მე-5—არისტოვმა (ტფ. პ. სკ.) ყველა მიღწევები ჩაითვლება ატლეტიურად.

**400 მეტრზე შემორბენაში.** ფინალში გამოვიდენ:

1-ლი ადგილზე გუშჩევი (ტფ. პ. სკ.) მე-2—ევსტიფეევი, მე-3—სინოდალოვი, მე-4—კრიუკოვი, მე-5—ბაბაევი.

დიდ ინტერესს იწვევს წრეგზაზე სირბილი 5.000 მეტრზე; აქ პირველი ადგილი დაიკავა—ალავერდიანმა (სომხ. სკ.) მე-2—სუგილნიკოვმა, მე-3—მუსაკოვმა (კავკასიის მე-3—მესანგრე ასეული).

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## სამნეო ნაწილი გვეხმარება.

მე 6 ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობას მრავალი ტეხნიკური დაბრკოლება ელობებოდა წინ.

არ გვქონდა მაგიდები, სკამები, ლამპები, დაფები და სხვა. მაგრამ ყველა დაბრკოლებები ძლეულ იქნა სამნეო ნაწილის უფროსის მეოხებით. სამნეო ნაწილმა აგვიშენა საზაფხულო სცენაც და ლენინის მინდვრებისათვის მოგვცა საჭირო ხის მასალები. გვიყიდა 20 ელექტრონის ლამპა და სხვა საჭიროებისამებრ ფულითაც გვიწევს დახმარებას შესაძლებლობის ფარგლებში.

ტეხნიკურ დაბრკოლებათა თავიდან მოშორების შემდეგ იდეური მუშაობა თითქმის თავისი განვითარების უმაღლეს წერტილამდის ავიდა.

კლუბის გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის ჩვენი ლეგიონის სამნეო ნაწილის უფროსს და უსურვებს მას ასეთი ენერგიით განაგრძოს თავისი საქმიანობა ლეგიონის საკეთილდღეოთ.

სამხკორი დავლოგი.

## წაგვიყვანეთ ექსკურსიაზე.

მე-5 ლეგიონი.

ხშირად ვკითხულობთ გაზეთებში, რომ ეს და ეს ნაწილი ექსკურსიაზე წაიყვანესო. ჩვენი ნაწილის ექსკურსიაზე წაყვანას კი, როგორც ეტყობა, არავინ ფიქრობს. ამის შესახებ ჩვენ რამოდენიმეჯერ მოვათავსეთ გაზეთში, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და ჩვენც წაგვიყვანონ ექსკურსიაზე, ვინაიდან ჩვენი ნაწილის უმრავლესობა ცვალებადელნი არიან, რომელთაც დიდათ აინტერესებს სხვა და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილების და წარმოებების დათვალიერება.

სამხკორი ლა-ლი.

## წითელი ყაზარმაში ჩვენ ბევრი რამეს შევიძენთ!

მე-4 ლეგიონი.

პირველად რომ მოვდიოდით სოფლებიდან სხვანაირი წარმოდგენა გვქონდა წითელ ყაზარმაზე, ჩვენ არ გვეგონა თუ ასე კარგად მოგვექცეოდენ მეთაურები. წითელ ჯარში უფროსების ასეთ. მოპყრობამ ჩვენზე კარგად იმოქმედა და ჩვენ არ წითელ ყაზარმაში ცხოვრება გაგვეჭივრებია. მეცადინეობის შემდეგ ჩვენი უფროსები, უმეტეს ნაწილად პოლიტხელი, ჩვენთან ერთად არიან და ვბაასობთ სხვადასხვა საკითხების შესახებ; ყოველივე ამას უყურებს მშრომელი გლეხობა და გაკვირვებული არიან ასეთი ამხანაგური და მეგობრული დამოკიდებულებით.

გლეხები მოუწოდებენ ჩვენს წითელ-არმიელებს იმსახურონ ერთგულად.

მუშაობა სწარმოებს ენერგიული, სწავლა მიმდინარეობს სისტემატიურად. კვირაში ერთხელ გვიმართავენ საუბრებს რელიგიისა და ჰიგიენის შესახებ. წითელ-არმიელები გულმოდგინედ ეკიდებიან მეცადინეობას. ამ სამ თვეში ჩვენ ბევრ რამეს შევისწავლით, ნასწავლი და გათვითცნობიერებული დავბრუნდებით ჩვენ სოფლებში. ჩვენ ცოდნას გადავიტანთ გლეხობაში, უამბობთ მათ თუ ვის ინტერესებს იცავს საბჭოთა ხელისუფლება და ჩვენი წითელი არმია.

სამხკორი გ. ქაფიანიძე.

## როგორ ვერთობით.

მე-6 ლეგიონი.

საღამოს საუცხოვო სანახავია ჩვენი ყაზარმის ეზო. მთელს ეზოს მოედებიან ჩვენი წითელ არმიელები ჯგუფჯგუფად და ერთობიან. აქ არიან თათრები, გერმანელები, რუსები, ქართველები და სხვა. ზოგი ხმამაღალ კითხვას ატარებს, ზოგი საუბრობს ლენინის ბაღჩებში. თათრების ჯგუფი მღერის და ცეკვავს.

გერმანელები გარმონს უკრავენ და მღერიან. რუსების და სომხების ჯგუფები გაერთიანდენ და უკრავენ დოლს და გარმონს.

მუშაობა არცერთ დარგში არ მოიკოჭლებს. ყველა დარგს გამოცოცხლება ეტყობა.

გაჩაღდა ფეხბურთის თამაში ბიჭო პეტო, მოდით აქ ყველანი,—უძახის ვანო,—ერთათ შევგროვდეთ და გავმართოთ ცეკვა-თამაში.

მსწრაფლ ყველანი შეგროვდებიან ერთ ადგილას. აქ არის ორი გარმონი დოლი, თარი, ჩონგური და სხვა.

დაიწყეს სიმღერები, ბოლო დროს ცეკვა-თამაში.

ყველანი ერთად არიან თათარი, სომეხი, ქართველი რუსი. ყველანი ერთმანეთთან ძმური და ამხანაგური განწყობილებაში არიან. არ აქვს ადგილი მათ შორის მტრობას ან შურს.

— ვანო, ვანო, დღეს წითელი არმიის და ფლოტის ბაღში მოვდივართ, მგონი. კლუბის უფროს მიუღია ბილეთები ამბობს ერთი. ამ ლეგიონის მორიგე იძლევა განკარგულებას, რათა 40 კაცი დაწყობილიყვნენ მწყობრში ბაღში წასასვლელათ. ყველას სურვილი აქვს წასვლის, მაგრამ, სამწუხაროთ დღეს მხოლოდ 40 ბილეთია გამოგზავნილი. ამხანაგურათ ყველანი ერთმეორეს უთმობენ ბილეთს.

ისმის განკარგულება:

— სმენა! ნაბიჯით იარ! წავედით ბაღისაკენ სიმღერით ყველას სიხარული ეტყობა. მივედით ბაღში. გვიჩვენეს სურათი „дворец и крепость“, რამაც ჩვენში დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. ნაწილი ჩვენი ამხანაგებისა თეატრში იყვნენ. ისინიც კმაყოფილნი იყვნენ წარმოდგენით.

სრულ 12 საათზე ვეწყობით და ისევ სიმღერით მივეშურებით ჩვენს ყაზარმისაკენ.

სამხკორი მ. ც.

## ჩვენი სკოლის საქმიანობა.

მე-6 ლეგიონი.

ჩვენს სკოლაში სხვა წრეებთან ერთად არსებობს დრამატიული წრე, რომელსაც ყავს არჩეული ხელმძღვანელი. აქამდის დრამწრეს მუშაობა სუსტი იყო, რადგან მის მუშაობას ხელს უშლიდა სხვა და სხვა დაბრკოლებანი და განსაკუთრებით კი უბინაობა. ამ მიზეზების გამო წასულ ორი თვის განმავლობაში დრამ-წრის მიერ ერთი წარმოდგენაც არ დადგმულა, მაგრამ ახალი ბინაზე გადასვლის შემდეგ დრამ-წრის მუშაობა გამოცოცხლდა. დრამწრის ხელმძღვანელი ამხ. ცინცაძე დიდ ენერგიას იჩენს. მისი თაოსნობით 25 ივლისს გაიმართა წარმოდგენა, რომელსაც დაესწრო, როგორც ჩვენი სკოლის უფროსთა შემადგენლობა, ისე უმცროსი შემადგენლობა. წარმოდგენის დაწყებამდის ჩატარდა საზეიმო სხდომა კლუბის გახსნის დღის აღსანიშნავად.

კურსანტებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა წარმოდგენამ და დიდათ ნასიამოვნები დარჩენ.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალში დრამ-წრე ენერგიას გამოიჩენს თავის მუშაობაში.

სამხკორი ი. ბ.

## მოგვაქციეთ ყურადღება.

პირველი ცალკე საკავშირო ასეული.

ნაწილში დარჩენილი წითელ-არმიელები უყურადღებოთ ვართ. ყველა ნაწილებში მიიღეს წითელ-არმიელებმა საზაფხულო ხალათები და ტრუსიკები, და ჩვენ კი თითქმის ნახევარი ზაფხულზე მეტია გასული და ჯერაც არ მიგვღია ერთი თვის ჯიბის ფული. ამის შესახებ ვკითხეთ სამნეო ნაწილის უფროსს. ის დაგვპირდა, რომ ჩავალ №-ში გამოვაგზავნიო. მას აქეთ გადის დრო, მაგრამ შედეგს ვერ ვხედავთ. სამხედრო კომისარსაც კი მივმართეთ.

რაშია საქმე, რატომ არ გვაძლევენ ჩვენი კუთვნილი ტანისამოსს??

ნინუა კუთხელი.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა.

## სკოლის გარეშე მუშაობა.

(მეთაურთა სკოლა).

ამ დღეებში ქართვ. მეთაურთა სკოლის კლუბში მოხდა საკლუბო საბჭოს საანგარიშო კრება. მოხსენება გააკეთა ამხ. კლუბის უფრ. შარაშენიძემ საზამთრო პერიოდის—1924 წ. 1 ოქტომბრიდან—1925 წ. 1 მაისამდე საკლუბო მუშაობის შესახებ. მოხსენების მთავარი მომენტი ეხებოდა საკლუბო საბჭოს ორგანიზაციულ მუშაობას, რომელსაც ჰქონია 6 სხდომა; მოუწვევია ლენინის კუთხეთა გამგეობის თათბირი—ორჯერ; კლუბთან არსებულ წრეების თათბირი (კონფერენცია)—ერთხელ და სარედაქციო კოლეგიის სხდომები—სამჯერ.

სკოლაში საზამთრო პერიოდში მოწყობილი იყო ლენინის კუთხე სამ ასეულში, ორი—საარტ. და ცხენოსან განყოფილებებში, ერთი—უმცროსი (სამნეო) გუნდში— და ერთიც „ლენინის წით. კუთხე“, სულ—შვიდი. მუშაობა, როგორც ლენინის კუთხეებში, ისე წრეებშიაც ნორმალურად მიმდინარეობდა.

ბოლო დროს, განსაკუთრებით სამხატვრო სექციაში შემავალი წრეების მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. კლუბთან არსებობს: დრამატიული, ლიტერატურული, მომღერალთა, სამხატვრო, ტაქტიკის, ტეხნიკის და ტყვიამფრქვევის წრე—სულ შვიდი წრე, რომელშიაც ჩაწერილია 387 კურსანტი.

მათ შორის უფროსი კურსის კურსანტთა უმცირესობაა, მომავალში ისინი (უფრ. კურს. კურსანტები) მეტად უნდა ჩაებან საკლუბო—მასიურ მუშაობაში.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო მუშაობის რაოდენობითი აღრიცხვას: კლუბთან არსებულ დრამ-წრეს გაუმართავს ოცდაათამდე საღამო-წარმოდგენა; სამხატვროსა და სალიტერატურო, ერთი საღამო; შუქის გაზეთი—8; ზეპირი გაზეთი—2; ექსკურსიები—4; კითხვა-პასუხის საღამო—4; კინო—18 ჯერ და სხვა.

ამავე საზამთრო პერიოდის განმავლობაში კლუბმა მოამზადა კორესპონდენტები და ლენინის კუთხის მუშაკნი.

შეკითხვებზე პასუხის გაცემისა და შესაფერი რეზოლიუციის მიღების შემდეგ—კლუბის უფროსმა კრებას გააცნო საკლუბო გამგეობის ახალი არჩევნების წესი და არჩეული იქმნა საკლუბო გამგეობის წევრებად: 1) სიხარულიძე, 2) ოკრიბელაშვილი, 3) გაბუნია და კანდიდატებად: 1) ქორიძე, 2) არჩუაშვილი.

კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ მეტი ყურადღება მიექცეს საბანაკო პერიოდის დროს სკოლის გარეშე მუშაობას.

ყველა სამხედრო სკოლებში მოწყობილია ლენინის კარვები, რომელნიც კვირაში ერთხელ სისტემატიურად მართავენ „თვითმოქმედებითი საღამოებს“.

„საღამოს“ პროგრამაში შედის: სამხედრო და პოლიტიკური სწავლა—მუშაობის საკითხები (გაკვრით), სკოლების ყოფა-ცხოვრების საკითხები და პოლიტ-მიმოხილვის ნომრები—შარჟი, ხუმრობა და სხვა.

მთელი ინიციატივა და ხელმძღვანელობა კურსანტების ხელშია. ლენინის კარვების „საღამოები“ სხვა და სხვა დღეებში იმართება და ყოველი სკოლა დასასწრებლად იწვევს თავის მეზობელ სკოლებს და ადგილობრივ მცხოვრებლებს.

სამხედრო სკოლების მჭიდროდ დაახლოვებისათვის ქართველ მეთაურთა სკოლაში მოხდა გამორკვევა, თუ რამდენი კურსანტი ლაპარაკობს თათრულსა და სომხურ ენაზე.

გამოირკვა, ქართველ მეთაურთა სკოლას საკუთარი ძალებითაც ადვილად შეეძლება ინტერნაციონალური საღამოს ან წარმოდგენის გამართვა.

სამხკორი ჩვენი.

## ჩვენი საშეფო მუშაობა.

მე-3 ლეგიონი.

ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ“-ის განხორციელებას ჩვენი ლეგიონიც შეუდგა ბანაკათ ყოფნის დროს. ამ მხრივ პრაქტიკული ნაბიჯი უკვე გადაიდგა ლეგიონის მიერ. 10 ივლისს, დილით 16 წითელი არმიელი და ერთი ათეულის მეთაური თავის სურვილით გაემგზავრნენ ომის ინვალიდ, ღარიბ გლეხის ვასო ულუმბელაშვილის ყანის დასამუშავებლად, რომლის ყანა დაუმუშავებლობის გამო ფუჭდებოდა. რამოდენიმე საათის განმავლობაში წითელი არმიელების მიერ ყანა დამუშავებული იქნა. გლეხის სიხარულს საზღვარი არ ქონდა.

აგრეთვე ჩვენს ლეგიონს თავის შეფობის ქვეშ აყვანილი ყავს სოფელი ბეკანი, რომელსაც ვაწვდით ჟურნალ-გაზეთებს და ხშირად ვაგზავნით ამ სოფელში მომხსენებლებს სხვა და სხვა თემების გასაშუქებლად.

გ—ტი.

## მოგვეცით ტოლალები.

მე 3 ლეგიონი.

ჩვენს ახალწვეულებს დღემდის არ მიუღიათ ტოლალები. საჭიროა ამის დარიგება. მასთან არ გვაქვს ჩაის დასალევი თუნუქის ჭიქები და გვიხდება ერთი ჭიქიდან რამოდენიმე კაცს ჩაის დალევა, რაც ჰიგიენურ თვალსაზრისით არ არის მისაღები. იმედია ყოველივე ეს ნაკლი ახლო ხანში გამოსწორებულ იქნება.

სამხკორი №

## წრეების მუშაობა ცოცხლდება.

1 ლი ლეგიონი.

21 ივლისს შესდგა 1-ლ ქართულ მსრ. ლეგ. ასეულების ლენინის კუთხეების გამგეების გაერთიანებული კრება.

კრებას დაესწრო თერთმეტი წითელი კუთხის გამგე და რვამდე მოხალისე წითელ-არმიელი აქტიური წრიდან. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. კოოპერაციის წრის ჩამოყალიბების შესახებ, 2. პოლიტ-წრის მუშაობის შესახებ და 3. მიმდინარე საკითხები.

კოოპერაციის წრის ჩამოყალიბების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. წულუკიძე, რომელიც აღნიშნავს კოოპერაციის მნიშვნელობას სოფლის და ქალაქის დაახლოვების საქმეში.

ამხ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კოოპერაციის წრე არსდება იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა მოამზადოს წითელი-არმიელები თეორიულად და პრაქტიკულად, რომ უვადო შვებულებაში წასულ წითელ მოლაშქრეს შეეძლოს თავის სოფელში კოოპერაციის საქმეში ჩადგომა და მისი გაძღოლა. მოხსენების შემდეგ კრებამ დაადგინა: დაევალოს ლენინის კუთხის გამგეებს ასეულებში აწარმოონ ხმამაღალი კითხვა კოოპერაციის შესახებ.

პოლიტ-წრის დაარსების შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. მაისაია, რომელიც აღნიშნავს პოლიტ-ცოდნის შეძენის აუცილებლობას და აცხადებს, რომ მის შედგენა-ჩამოყალიბება უნდა მოახდინონ ასეულებში ლენინის კუთხის გამგეებმა, რის შემდეგ კრებამ დაადგინა: ლენინის კუთხის გამგეებმა აქტიური ხელმძღვანელობა გაუწიონ პოლიტ-წრის ჩამოყალიბებას და მის ხელმძღვანელობას ასეულების მაშტაბით.

სამხკორი ა. დეისაძე.

## გაგვიდიდეთ სამეცადინო საათები.

ცხენოსანი გუნდი.

მე-3 ლეგიონის ცხენოსანთა მზვერავ გუნდი შეუდგა აფეთქების საქმის სწავლას. ამ სპეციალურ საგანს მასწავლებელი ჩვენთვის გასაგებ ენაზე გვიხსნის. წითელი არმიელები დიდის ენერგიით ეკიდებიან ამ საგნის შესწავლას და მალეც შეითვისებენ მას, რომ ერთი გარემოება არ გვიშლიდეს ხელს. ამ საგანს სამეცადინოთ სამყოფი საათები არ აქვს დათმობილი.

კარგი იქნება, რომ საათებს მოგვიმატებდენ.

წ. არმ. ინაშვილი.

# პარტიული ცხოვრება.

მე-3 ლეგიონის კომუჯრედში.

კომუჯრედის კრებები იმართება თვეში ორჯერ. გამოყოფილია რამოდენიმე ამხანაგები, რომლებიც უჯრედის წევრთა საერთო კრებაზე აშუქებენ მე-XIII პარტყრილობის დადგენილებებს. კავშირი გვაქვს სამოქალაქო ორგანიზაციებთან, რაც გამოიხატება საერთო კრებების გამართვაში.

ვარჩევთ პარტაღმზრდელობისა და სხვა საჭირბოროტო საკითხებს.

საკითხების განხილვის დროს ამხანაგები დიდ აქტივობას იჩენენ. დიდი ლტოლვაა პარტიაში ჩასაწერათ, განსაკუთრებით წითელ-არმიელთა შორის.

ბიურო-კოლექტივიც ნაყოფიერად მუშაობს, რაც გამოიხატება საქმეების წესიერად და თავის დროზე განხილვაში. პარტიული ამხანაგების სულისკვეთება საუცხოოა, ყოველ საქმეში აქტივობას იჩენენ.

გ—ტი.

## მე-2 არტლეგიონის კომუჯრედში.

25 ივლისს შესდგა 1-ლ ბატარეის კომუჯრედის და კომკავშირის გაერთიანებული ღია კრება.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება პიათურის შავი ქვის კონცესიის შესახებ, 2. 1-ლ ბატარეიაში კედლის გაზეთის გამოშვების შესახებ და 3. მიმდინარე კითხვები.

პიათურის კონცესიის შესახებ მოხსენება გააკეთა წითელ არმიელმა ამხ. დ. მშვენიერიძემ. მომხსენებელი შეეხო ჩვენში შრომის ნაყოფიერების ზრდას და მრეწველობის მდგომარეობას და აგრეთვე განუმარტა კრებას კონცესიის პირობები. იყო შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

კედლის გაზეთისათვის „კრების მიერ არჩეულ იქნა სარედაქციო კოლეგია 5 კაცისაგან შემდგარი. გაზეთი იქნება ორკვირეული და გამოვა „წითელი მომიზნის“ სახელწოდებით.

ვუსურვებთ ამხანაგებს ენერგიულ მუშაობას.

სამხკორი ხევ. ქარქაშაძე.

## ჩვენი მუშაობა.

1-ლი ლეგიონის მე 2 ათასეული.

1-ლი ლეგიონის მე-2 ათასეულში ყველა საგნებში მეცადინეობა წესიერათ მიმდინარეობს. პოლიტ საათს დათმობილი აქვს კვირაში ექვსი საათი. ასეულები დაყოფილია ჯგუფებათ და თვითეულ ჯგუფს ყავს თავისი ხელმძღვანელი.

წითელ-მოლაშქრეებს დარიგებული აქვთ რვეულები და ფანქრები გაუგებარი სიტყვების ჩასაწერად. მეცადინეობა კომპლექსიური მეთოდით სწარმოებს, რაც წ. არმიელებს უფრო აინტერესებს და ახალისებს. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული და მეტი დრო აქვს დათმობილი სამხედრო საქმის შესწავლას.

ბანაკათ ყოფნა საშვალებას გვაძლევს ზამთრის პერიოდში ყაზარმაში თეორიულად გავლილი პრაქტიკაში განვახორციელოთ.

ხშირად დავდივართ მანევრებზე ტაქტიკური მეცადინეობისათვის და წ. მოლაშქრებიც კარგათ ვითვისებთ საბრძოლო საქმეს. განსაკუთრებით წითელი მოლაშქრეები დაინტერესებული არიან სასროლო საქმით. გავიარეთ რამოდენიმე ვარჯიში, რაც კარგათ შევასრულეთ.

წითელი მოლაშქრეები გულმოდგინეთ მაცადინეობენ და ენერგიულად ეტანებიან თავის მოვალეობებს.

სამხკორი შალვა გამყრელიძე.

## „წიგნის კვირეული" ჩვენთან.

(მე-5 ლეგიონი).

20 ივლისს, ცირკის შენობაში შესდგა მე-5 ლეგიონის გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. წიგნის მნიშვნელობა, 2. კლუბის კომისიის და გამგეობის არჩევა და 3. მიმდინარე საკითხები. წიგნის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დევაძემ, რომელმაც ფართეთ გააშუქა წიგნის მნიშვნელობა.

მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს კლუბის გამგე ლალიძე, რომელიც აცნობს კრებას კლუბის კომისიის და გამგეობის მოვალეობას, რის შემდეგ არჩეულ იქნა კომისიაში ხუთი და გამგეობაში შვიდი კაცი.

კრების გათავების შემდეგ ნაჩვენები იქნა კინო-სურათი, რითაც წითელ არმიელები დიდათ კმაყოფილნი დარჩენ.

სამხკორი ახალციხელი.

## შეკითხვა ქალ. კომენდანტს.

(1-ლი ლეგიონიდან).

ჩვენ აგერ თითქმის წელიწად ნახევარია, რომ შემოტანილი გვაქვს განცხადება საკომენდანტოში ოთახის მოცემის შესახებ, მაგრამ ჯერ-ჯერობით არა ვარ დაკმაყოფილებული. ამის გამო ვიმყოფები ცუდ მდგომარეობაში. რამოდენიმე დღის წინ მე ვიყავი თქვენთან და მითხარით „ოთახის მოცემა ჩვენ არ გვეხება, მიმართეთ, ტფილისის აღმასკომის საბჭოს სამხედრო სექციასო“. მივმართე აღნიშნულ დაწესებულებას, მაგრამ გამოირკვა, რომ სამხედრო სექცია ოთახებს არ ანაწილებს არამედ კომენდანტურა და გამოგვაგზავნეს ისევ თქვენთან. ამიტომ გთხოვთ აგვიხსნათ ეხლა, რომელ დაწესებულებას მივმართო ოთახის შესახებ?

იმედია გვიპასუხებთ და მოგვცემთ ახსნა განმარტებას, რადგან არ ვიცი ვის და როგორ მივმართოთ?

უბინაობის გამო ქუჩაში მიხდება ღამის გათევა და ამხ. შეწუხება.

პოლიტხელი ს. იმნაიშვილი.

## ამბები სოფლებიდან.

### უვადოდ შვებულებაში წასული წ. არმიელის წერილი.

სოფ. ლუხვანო.

(ლეჩხუმის მაზრა).

სოფ. ლუხვანოში არსებობს ქოხ სამკითხველო, რომელიც მოთავსებულია სოფლის შუაგულში, სადაც აუარებელი მშრომელი გლეხობა იყრის თავს. ხსენებული სოფლის ქოხ-სამკითხველო დიდ სამსახურს უწევს ჩვენს მშრომელ გლეხობას კულტურულ საქმეში.

ჩვენი სოფლის უდიდესი ნაწილი გლეხობისა წერა კითხვის მცოდნეა და ეს აადვილებს კავშირს ქოხ-სამკითხველოსთან. ამ ბოლო დროს ქალებმაც შეიგნეს სამკითხველოს სარგებლიანობა და ბევრი მათგანი დადიან ქოხ-სამკითხველოში და კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, რის საშვალებით ეცნობიან ქალთა საკითხებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენი სოფლის ქოხ სამკითხველომ დიდი აგიტ-პროპა განდა გასწია მშრომელ გლეხობაში, რომლის დამამტკიცებელი ფაქტია სოფლის უპარტიო მშრომელ გლეხებისა და ქალების კრებებზე დასწრება და მათი პოლიტ-კულტურულ მუშაობაში ჩაბმა.

ვუსურვებთ ლუხვანოს ქოხ-სამკითხველოს გამგეს მეტ ენერგიას, რომ ჩვენი სოფლის ქოხ-სამკითხველოს მაგალითისთვის სხვა სოფლებსაც მიებაძოს.

გლეხკორი ნამკაშურელი.

### საექიმო პუნქტები.

ივლისში წითელმა ჯარმა გორის, შორაპნისა და ზუგდიდის მაზრებში გახსნა თითო საექიმო პუნქტები.

### გზის გაყვანა.

აგარაკ წყალტუბოს კეთილ მოწყობის მიზნით ახლო ხანში შეუდგებიან ქუთაისიდან საავტომობილო გზის გაყვანას.

### კონიაკის სახდელი ქარხანა.

მეღვინე-მეყვენახეთა ამხ. „იმერეთი“ შეუდგა ქუთაისში კონიაკის ქარხნის მოწყობას.

— **საჩვენებელი ქარხანა.** მიწ.-მოქ. კომისარიატმა სოფ. მლეთში (დუშეთის მაზრა) მოაწყო რძის და კარაქის დასამზადებელი საჩვენებელი ქარხანა.

# ახალი ამბები.

— **უფასოდ.** მავნებლებთან მებრძოლმა ბიურომ მიმართა საქ. სახ. კომის. საბჭოს გამოსცეს სათანადო განკარგულება, რათა მავნებლების შესახებ კორესპონდენციები იგზავნებოდეს უფასოდ.

— **ბიოლოგიური დაკვირვება.** მავნებლებთან მებრძოლმა ბიურომ დაადგინა შემოდგომიდან მოაწყოს ბიოლოგიური დაკვირვება მავნებლებზე.

— **გადიდება.** ტფილისის დამზღვევ სალარომ დაადგინა გაადიდოს რძის ფული ერთი მანეთით იმ დედებს, რომლებმაც კონსულტაციებში გაატარეს ბავშვები.

— **მსხვილი სესხი.** შრომისა და თავდაცვის საბჭომ აფხაზეთის მეთამბაქოეთ გასცა სესხათ 2.300. 000 მანეთი.

— **თამბაქოს დამზადება.** ივნისის განმავლობაში საქართველოში დამზადდა 24.004 ფუთი თამბაქო.

— **ფულად დახმარების გაცემა.** უმუშევართა დამზღვევ განყოფილება 30 ივლისს გასცემს ფულად დახმარებას წიგნაკებზე № 5101-დან ზევით.

— **ბამბის დამზადება.** ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა ივნისის განმავლობაში დ. საქართველოსა და აზერბეიჯანში დაამზადა 1.166 ფუთი ბამბა.

— **ტრამვაის შემოსავალ-გასავალი.** ივლისში ტრამვაის შემოსავალი უდრის 321,792 მანეთს, გასავალი კი 309,659 მანეთს.

— **მანქანების ნაწილები.** თბ. ელსადგურების სამმართველო გერმანიიდან ახლო ხანში მიიღებს შეძენილ მანქანათა ნაწილებს, რომელიც მოხმარდება ძველ მანქანების შეკეთებას.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### ტუბერკულიოზიდან (ჭლექიდან) ბავშვთა მორიდების შედეგები.

საფრანგეთში ტუბერკულიოზთან ბრძოლის საქმეში დიდი ხანია ყურადღება აქვს მიქცეული იმ უმთავრეს ზომებს ბავშვთა ტუბერკულიოზიდან მორიდებისა, როცა საშიშროება ამ სენით დაავადმყოფებისა ოჯახის წევრებთან შეხების დროს მეტად დიდია.

ამ მიზნით იქ არსებობს დაწესებულებათა მთელი რიგი ე. წ. „პროფ. გრანშეს სისტემა“, რომელსაც მიზნად აქვს დასახული გამოჰყოს ავადმყოფ ოჯახიდან, უმთავრესად თუ დედაა ავად, ჯანმრთელი, ჯერ კიდევ ამ სენით შეუპყრობელი ბავშვები, რაც შეიძლება მალე დაბადების შემდეგ. ჩვეულებრივად ასე გამოცალკევებულ ბავშვს აძლევენ აღსაზრდელად ჯანმრთელ ოჯახში და რამოდენიმე წლის შემდეგ, როცა ბავშვისთვის ამ სენის გადადების საშიშროება ნაკლები გახდება და თვით დედა კი გამოკეთდება, ბავშვს უბრუნებენ მშობლებს.

ამას წინედ პროფ. ბერნარმა წარუდგინა საფრანგეთის სამედიცინო აკადემიას თავის დაკვირვებათა შედეგები ტუბერკულიოზით შეპყრობილ დედებიდან ბავშვთა გამოცალკევების შესახებ.

მისი სიტყვით პირველი ჯგუფი შეიცავდა 123 ბავშვს, რომლებიც გამოცალკევებულ იქნენ თავიანთ ავადმყოფ მშობლებიდან დაბადებისთანავე, როცა მათ არავითარი ნიშანი ამ სენისა არ ემჩნეოდათ.

ამ ბავშვებს პირველი 12—18 თვის განმავლობაში ემჩნეოდათ მხოლოდ ნელი ზრდა, რომელიც გამოსწორდა მეოთხე წელში. ამ ასაკში ბავშვები თავიანთი ჯანმრთელობით არ განსხვავდებოდენ ჯანმრთელ მშობლების ბავშვებიდან. მხოლოდ მომაკვდავობა პირველი სამი თვის განმავლობაში იყო რამოდენიმედ მეტი ვიდრე შეჰფერის ამ ასაკს; ეს კი მიეწერება ხელოვნურ კვებას.

მათი ტუბერკულიოზით დაავადმყოფების შემთხვევა ამ დაკვირვებათა განმავლობაში არ ყოფილა.—ეს ფაქტი ნათლად მოწმობს მას, რომ ტუბერკულიოზი მემკვიდრეობით კი არ ვრცელდება, არამედ ამ სენის შეპყრობით, რომლისგანაც ბავშვები შეიძლება მორიდებულ იქნან.

ამას ნათლად ამტკიცებს მეორე ბავშვთა მეორე ჯგუფისა, რომელიც შეიცავდა 171 ბავშვს. ეს ბავშვები სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ იქნენ მოშორებული ავადმყოფ დედებიდან პირველი ექვსი თვის განმავლობაში. მათი გამოცალკევების მომენტში ყველა აღმოჩნდა ამ სენით შეპყრობილი.

როგორი ბედი ეწვია ამ ბავშვებს?

პირველი წლის განმავლობაში ბავშვებს ემჩნეოდათ ჩამორჩენილობა ზრდაში და წონაში, რომელიც შემდეგში თანდათან გამოსწორდა. 13 ბავშვი პირველი 2—4 წლის განმავლობაში დაავადმყოფდენ სხვა და სხვა სახის ტუბერკულიოზით: ფილტვების, ტვინის გარსის, ძვლების და ცამეტივე გარდაიცვალა, რაც შეადგენს 7,6 პროც. მომაკვდავობისას.

ამგვარად ბავშვები, რომლებიც დარჩენ დიდი ხნით თავიანთ ავადმყოფ დედებთან, არა მარტო აღმოჩნდენ შეპყრობილი, არამედ მათი უმნიშვნელო ნაწილი (7,6 პროც.) გარდაიცვალა ტუბერკულიოზით.

მესამე ჯგუფი, 66 ბავშვი ვერ იქნა მოშორებული დედებიდან, უკანასკნელთა სურვილის გამო, ამ ბავშვებიდან 54 ე. ი. 82 პროც. გარდაიცვალა პირველ წლებშივე. მოყვანილი ციფრები ნათლად ამტკიცებენ მას თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა ტუბერკულიოზიდან ადრიან მორიდებას.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლის № 1 უჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ კურსანტ გრიგოლი მესხს. თუ ვისმეს აქვს რაიმე საწინაამდეგო ვსთხოვთ გვაცნობოს 10 დღის განმავლობაში.

ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლის № 1 უჯრედში.

№ 1 უჯრედის ბიურო.

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის № 3-მე კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ. ამხ. ილარიონ არსენის-ძე ხობუას ახ. ლ. კ. კავშირის წევრი 1918 წლიდან. თუ ვისმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო გვაცნობეთ ორი კვირის განმავლობაში. ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის № 3-მე კომუჯრედში.

1 ლი ქარ. მსრ. დივ. ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება წითელ-არმიელ კომკავშირის წევრს ამხ. ვალერიანე რემანოზის-ძე ვეფხვაძეს, მცხ. გორის მაზრის ქალაქ ხაშურის, პარტიაში კანდიდატათ შესვლის შესახებ. თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო გვაცნობეთ შემდეგი მისამართით: პირველი ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. ჯ. ს. 13.   სამხედრო სტამბა კუცხოველის ქ. № 3.